გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
20.01.2015	20.01.2015

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	შპს FRANCE-PLAST 401953748
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1277463
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1277463

1. საკითხის შემდგომი განხილვის მიზნით წარმოსადგენია:
ა) ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის ქალაგეგმარებითი დასკვნა #01.14.05.007.015 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ, დანართით განსაზღვრულ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დროებითი ღობის განთავსებასთან დაკავშირებით.
ბ) სქემატური ნახაზი, საპროექტო დროებითი ღობის და ქვეითად მოსიარულეთა ბილიკის ასახვით, ზუსტი ზომების დატანით.
გ) ალტერნატიული ფოტომონტაჟი, ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით მოსაწყობი ფეხით მოსიარულეთა ბილიკის და მისი გზის სავალი ნაწილის მხარეს გადახურვის ჩვენებით.
2. ზემოაღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად განმცხადებელს მიეცეს 20 (ოცი) დღის ვადა. ხარვეზების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, განცხადება დარჩეს განუხილველი.

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-73 დადგენილება

თბილისი მარგავას ქუჩა №7
ტელ: (+995 32) 37 81 27 Email: auction@tbilisi.gov.ge
www.auction.tbilisi.gov.ge
www.iauction.ge